# სახალხო გაზეთი

№ 327 ოთხშაბათი, 15 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 327

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" (სურათებიანი დამატებით)

1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი"-ს

ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგინილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ქ. ფოთში 13 ივნისს ტრაგიკულად გარდაიცვალა

ალექსანდრე როსტომის ძე საბახტარიშვილი,

რასაც უგულითადესის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ლიზა ივანეს ასული, შვილები: გიორგი და მიხეილ, ძმა ბესარიონ, შვილის-შვილი ხაშა და რძლები სოფიო დიმიტრის ასული და პელაგია იაკობის ასული საბახტარიშვილები. დაკრძალვა მოხდება 19 ივნისს, კვირას, ფოთის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (3—1349—1)

თედოსია (იგივე ფაჩია) გამსახურდიას ასული გაჩუნიასი და ანდრო უტუს ძე გაბუნია, მხურვალე მადლობას უძღვნიან იმ პირთ, რომელთაც

გიორგი მანუჩარის ძის გამსახურდიას

დასაფლავების დღეს პატივი სცეს, ქ. ტაშკენტში, 26 მარტს. (1—1350—1)

ქართველ ფარმაცევტების საყურადღებოდ!!

ავადმყოფობისა გამო იყიდება აფთიაქის მაღაზია. მოწყობილია მშვენივრად და დამსახურებულია პატივცემულ საზოგადოების ყურადღებით. წლიური ვაჭრობა 16,000 მანეთამდის; საქონელი 10,000 მ. იქნება. ვაჭრობა შეიძლება გააორკეცოს კარგმა მუშაკმა, რადგანაც საკურორტო ქალაქია. ერთი წილი საჭიროა ნაღდი, ორი წილი გირაო.

ა დ რ ე ს ი: სოხუმი, კოტლიარევის ქ., სახ. № 11. (3—1344—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—69)



სამხატვრო-საისტორიო და საეცნიერო ანატომიური მუზეუმი!! პარიზის მხატვრული პანორამა.

მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და სიმგელენი.

სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება:

ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური სამ ნაირი ჭირი.

ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.

მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქალებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, სინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით ზლოდინისა. (50—1338—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ზიდიგანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დბვთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხობთლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—487)

მიიღება ხელის მოწერა

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

„ჩვენი საზოგადოებრივობა".

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-და-ათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის" რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—8)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

„კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების

სასარგებლოდ

სამკურნალო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სახლი), ოთხშაბათს 15-ს და პარასკევს 17 ივნისს,

ბ-ნი ა. ნ. ჯავახიშვილი

წაიკითხავს ქართულად ორ ლ ე ქ ც ი ა ს:

„ქართველები ანთროპოლოგიურ თვალსაზრისით".

ადგილების ფასი 10—40 კაპიკამდე, დასაწყ. საღ. 8 ს. (2—1348—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. ხობთლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წ— 1090—84)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ე. გაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24 ი—77

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. უ)

დოქტორი მედიცინისა

ი. ბ. ჩუდნოვსკი

გადავიდა

კიროჩნის ქუჩა სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.

მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—3)

ექიმი კბილისა ისიდორე ფანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. ( თ.—1329—8)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—40)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—0)

ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს.. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—4)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816


## ტფილისი, 15 ივნისი

**სათავად-აზნაურო გიმნაზია.** ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიას თავის ოც-და-ათი წლის ისტორია აქვს. იგი დაარსდა მაშინ, როდესაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ჯერ კიდევ ცოტა ნიშნები ემჩნეოდა გამოცოცხლებისა. თავისი სამსახურიც გაუწია ჩვენს საზოგადოებას. ოცდა-ათი წელიწადი იზრდებოდა სათავად-აზნაურო გიმნაზია, ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში ბევრნი პირდაპირ მოწამებრივ შრომას ეწეოდნენ. შეეძლოთ პირად ბედნიერებისათვის შეეწირათ თავისი თავი, მაგრამ ისინი ჯერეც ისევ ნორჩს სასწავლებელში შიდიოდნენ, თან მიჰქონდათ შრომა და იმედები; ამ დაუღალავმა შრომამ შეჰქმნა დღევანდელი გიმნაზია. ეს არასოდეს არ უნდა დაივიწყონ ხოლმე იმათ, ვისაც სურს სათავად-აზნაურო გიმნაზიის ბედ-იღბალზე იფიქროს.

დღეს, რა თქმა უნდა, გარემოება გამოიცვალა. ოც-და-ათი წლის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ სრულიად სხვანაირი მიმდინარეობა მიიღო და საზოგადოებრივი აზროვნებაც არსებითად შეიცვალა. დაიბადა ახალი საჭიროებანი, ახალი მოთხოვნილებანი. განსაკუთრებული გულის-ყური მიიპყრო სოფელმა, რომელიც დღემდის მხოლოდ პლატონიურ სიყვარულის ობიექტად იყო გადაქცეული. ამ საჭიროებისა-დაგვარად შეიცვალა სურვილიც საზოგადოებრივ ქველ-მოქმედების განაწილებისა. კლასიკურ გიმნაზიაზე რომ დღეს ამდენი ფული იხარჯება, ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. არც თავად-აზნაურთა სუბსიდიები ჰბადებს კლასიკურ განათლების გაძლიერებას. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მობრუნება რომ ამ სუბსიდიებზე იყოს დამოკიდებული, ოც-და-ათის საათის განმავლობაში შეგვეძლო მოგვესპო ეს სუბსიდიები და ამით გვეხსნა საქართველო განსაცდელისაგან. მაგრამ ჩვენი უბედურებაც სწორედ ისაა, რომ კლასიკურ განათლების გავრცელება ტენდენციაა მთელი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა. გადაავლეთ თვალი ჩვენს პროვინციას და ნათლად დაინახავთ, რა გასაოცარის სისწრაფით იზრდება პროგიმნაზიები. ჩვენი თ.-აზნაურების გულის-ყური იქითკენ არ არის მიქცეული, საითკენაც უნდა იყოს. პროგიმნაზიები და გიმნაზიები არავითარ დამთავრებულ ცოდნას არ იძლევიან, და ამიტომ იქ კურს-დამთავრებულნიც იძულებულნი ხდებიან მოხელეობა დაიწყონ, თუ ამაში მაინც შეუწყეს ხელი. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ქართველებისათვის საუბედუროდ თუ უფრო საბედნიეროდ მოხელეობის გზაც დახშულია. სოფლის მეურნეობას მოწყვეტილი ახალგაზდობა ვეღარც სხვა დარგში იკვლევს გზასა და ამ რიგად შრომა და ენერგია უნაყოფოდ იხარჯება.

ასეთი მიმდინარეობა ჩვენი ცხოვრებისა სასიკეთოს არაფერს გვიქადის და ჩვენც ვალდებულნი ვართ ღონე ვიღონოთ, რომ ჩვენს ცხოვრებას ისეთი მიმდინარეობა მიეცეს, რომელიც დაიხსნის ჩვენს ქვეყანას ამ ანორმალურ მდგომარეობიდან. პროპაგანდა სამეურნეო ცოდნის საჭიროებისა, სახალხო განათლებისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურის აყვავებისა აუცილებელიცაა და სასარგებლოც.

სწორედ ამ თვალსაზრისით უცქერის ბევრი ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასაც.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ პრინციპიალურ მოსაზრებას, რომელიც ქვა-კუთხედად უდევს ამნაირს მსჯელობას, მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეგვიძლიან ისიც არ აღვნიშნოთ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება და ეს განსაკუთრებული პირობანი გვავალებენ განსაკუთრებულის თვალსაზრისითაც შევხედოთ მის მომავალ ბედ-იღბალს

იყო დრო, როდესაც ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია ერთად-ერთი ქართული სასწავლებელი იყო, რომელიც თითქმის უსასყიდლოდ თუ არა, ძალიან შეღავათიან პირობებში მაინც უზრდიდა ღარიბ თავად-აზნაურობას შვილებს. ეს გიმნაზია მთლად ქველ-მოქმედებით საზრდოებდა. დღეს ამას ვეღარა ვხედავთ. მხედველობაში თუ არ მივიღებთ გიმნაზიის შენობას, რომელზედაც ქვევით გვექნება საუბარი, გიმნაზიის შენახვა თავად-აზნაურობას უფრო იაფად უჯდება, ვიდრე უწინ. თან და თან, დროთა ვითარებით, საქმე უეჭველია იმ დონემდე მივა, რომ გიმნაზიას სულ მცირე სუბსიდია დასჭირდება და ამ რიგად მივაღწევთ იმას, რომ საშუალო განათლება საზოგადოებრივ ქველ-მოქმედების საგნად აღარ იქნება: მშობლები, მცირეოდენ საქველ-მოქმედო დახმარებით, თვითონ შეინახავენ თავის გიმნაზიას. მაშინ უდიდესი პროცენტი საზოგადოებრივ ქველ-მოქმედებისა დაიხარჯება არა საშუალო განათლებაზე, რომელიც, მართლაც, არავითარ ქველ-მოქმედებას არ საჭიროებს, არამედ სახალხო განათლებასა და საერთო კულტურულ საჭიროებებზე.

როდესაც ამ მიზანს მივაღწევთ, ხელთ შეგვრჩება ჩვენ საკუთარი საშუალო სასწავლებელი, რომელსაც, თქმა არ უნდა, თან სდევს ყველა ნაკლულევანებანი თანამედროვე საშუალო სასწავლებლისა, მაგრამ რომელიც მომავალში მაინც დიდს სამსახურს გაგვიწევს. ჩვენთვის საჭიროა არა მარტო სახალხო ან სპეციალური განათლება, არამედ საზოგადო განათლებაც. თუ როგორმე მოვახერხეთ და ჩვენი საშუალო სასწავლებელი ისეთს პირობებში ჩავაყენეთ, როდესაც იგი ერთის მხრით უზრუნველ-ყოფილი იქნება მატერიალურად, მეორის მხრით კი საზოგადოებრივ ქველ-მოქმედებით არ ისარგებლებს, ამით დიდს საქმეს გავაკეთებთ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რათა ღირს მარტო ის ერთი უპირატესობა, რომ ჩვენს გიმნაზიას, როგორც კერძო სასწავლებელს, შეგვიძლიან მივცეთ ისეთი ხასიათი, რანაირიც ჩვენ გვინდა. ტფილისის ქართული გიმნაზია ჩვენ უფრო ადვილად შეგვიძლიან დავუახლოვოთ ჩვენს მოთხოვნილებებს, უფრო ადვილად შეგვიძლიან გარდავქმნათ იმნაირს საშუალო სასწავლებლად, რანაირიც საჭირო იქნება ჩვენის ქვეყნისთვის. ეს ძალიან დიდი უპირატესობაა და ჩვენც უნდა ჯეროვანი ანგარიში გაუწიოთ მას.

ყველა ამის მისაღწევად კი საჭიროა, რომ გიმნაზია უზრუნველ-ყოფილი იყოს მატერიალურად. ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია დიდს მითქმა-მოთქმას არ გამოიწვევდა, იგი რომ მატერიალურად უზრუნველ-ყოფილი იყოს და მძიმე ტვირთად არ აწვებოდეს საზოგადოებრივ ქველ-მოქმედებას. საუბედუროდ სწორედ ამ უმთავრესს საკითხზე არავინა ფიქრობს. გიმნაზიას აქვს დიდი შენობა, რომელიც ამასთანავე დიდად არის დავალიანებული. საზოგადოება იძულებული ხდება მარტო სარგებელში წელიწადში 30 ათასი მან. იხადოს. ეს წყალში გადაყრილი ფულია. არც შეიძლება ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდეს. თუ გვინდა გიმნაზია სამუდამოდ გავანთავისუფლოთ ორჭოფულ მდგომარეობიდან, უპირველესად ყოვლისა ამ საქმეს უნდა მოევლოს.

თავად-აზნაურობა ვალდებულია ნათლად გაითვალისწინოს ყველაფერი და ერთხელ და სამუდამოდ მოაწესრიგოს გიმნაზიის საქმეები. წვრილ-წვრილად ფულის ძლევა მხოლოდ უბრალო პალიატივია, რომელიც გიმნაზიის მწარე იარებს ვერ განკურნავს. საჭიროა ძირითადი საფინანსო ოპერაცია. თუ თავად-აზნაურობამ მოისურვა, მას შეუძლიან სამუდამოდ გაანთავისუფლოს გიმნაზიის შენობა ვალისაგან. დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა, როდესაც არავინ იცის, რა მოელის გიმნაზიის ძვირფას შენობას, რა მოელის სასწავლებელს, რომელსაც თავისი ოც-და-ათი წლის ისტორია აქვს, მალე აუტანელი გახდება, და ისევ თავად-აზნაურობას მოუხდება აწეწილ საქმეების გამოსწორება.

თუ ეს ასეა,—სჯობიან ისევ თავის დროზე მოჰკიდონ ხელი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სენატორი ვატაცი** 12 ივნისს ვორონცოვკაში გაემგზავრა მეწველ საქონლის დასთვალიერებლად.

✦ **მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები** კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან დღეს გაიხსნება. ჯერ-ჯერობით კურსებზე ჩაეწერა 30 მამენელი, რომელნიც მიიღებენ თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

✦ **ტფ. ვიცე-გუბერნატორი პანოვი** უკვე დაბრუნდა ტფილისში

და 13 ივნისს თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ალავერდის ეპისკოპოსი** დავითი დროებით გაგზავნილ იქნა სოხუმში იქაურ ეპარქიის მოსავლელად.

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა** ნება დართო კავკასიის სცენებზე წარმოდგენის **გიორგი ფოცხოველის** ორი ახალი პიესისა: 1) „მშობლების ბრალია“, დრამა სამ მოქმედებად და „განდევნილნი“, სურათი ერთ მოქმედებად.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტი** ამ ჟამად შეუდგა კავკასიაში შინა მრეწველობის, ხალიჩების და ნოხების სახისა და საუცხოვო ნაქარგებისა შენახვა—გაუმჯობესების საქმეს. ამ მიზნით შეინახება სხვადასხვა სახე, რომელიც ხვდება ხალხური ხელსაქმის სხვადასხვა ნივთებზე: ხალებზე ნოხებზე, აბრეშუმის ქსოვილებზე, ლითონის ნივთებზე და სხვა. ამ მიზნით მიწადმოქმედ და მიწად-მომწყობი მთავარ გამგის კავკასიის წარმომადგენელმა კავკასიის შინა მრეწველობის მხატვარი ი. კ. სტრუმე გაგზავნა კუბასა, ბაქოსა და შემახაში. ამასთანავე სთხოვა ბაქოს გუბერნატორს, რომ შესაფერი განკარგულება მოახდინოს, რათა საგუბერნიო პოლიციამ საჭირო დახმარება აღმოუჩინოს.

✦ **გუშინ ტფილისს დაბრუნდნენ:** მიწად-მომქმედ და მიწად მომწყობ მთავარ გამგეობის შინამრეწველობის ტეხნიკი ს. ვ. რომანენკო, კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტის წევრი ს. ა. მოსკალიოვი და კომიტეტის მდივანი ე. ბ. ლობანოვსკი. ესენი რამდენიმე ხნის წინედ გაემგზავრნენ სოფ. ყაზბეგში (დუშეთის მაზრა), სადაც დაათვალიერეს გენერალ გ. ნ. ყაზბეგის მიერ გამართული ხალებისა და ნოხების საფეიქრო. საფეიქროს მათზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

✦ **ტფილისის გუბერნატორი** 16 ივლისიდან ახალ განკარგულების მოხდენამდე მთხოვნელებს მიიღებს ყოველდღე 11 დან 2 საათამდე.

✦ **ტფილისის გუბერნატორი** საყოველთაოდ აცხადებს, რომ სახალხო განათლების სამინისტროსა და უწყებათა ფორმის ტანისამოსის საკითხის შესამუშავებელ კომისიის განმარტებით, სამოქალაქო უწყებათა მოხელეთ და უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეთ **სასტიკად ეკრძალებათ ხაკის ფერი ტანისამოსის ტარება.**

✦ **ტფ. ვიცე გუბერნატორს დღეს წარუდგებიან** ტფილისის პოლიციის წარმომადგენელნი პოლიცმეისტრის მეთაურობით.

✦ **სეირნობებზე დასწრების უფლება მოსწავლეთ ეძლევათ** მხოლოდ საღამოს 10 საათამდე. თუ სეირნობა რომელიმე სასწავლებლის სასარგებლოდ არის დანიშნული, მაშინ მოსწავლეთ ნება ეძლევათ 11 საათამდე დარჩნენ.

✦ **პოლიცმეისტერმა პოლიციელთ ხელმეორედ მისცა წინადადება,** საპოლიციო სამმართველოებში სხვა და სხვა ცნობის გასაგებად მისულ გარეშე პირთ ზრდილობიანად მოეპყრნენ.

✦ **ქალაქის უძრავ ქონების დაშფასებლები,** შეფასებას ამ თვის ბოლო რიცხვებში დაასრულებენ. 1 ივლისიდან დამფასებლები განთავისუფლებულ იქმნებიან თავიანთ ადგილებიდან.

✦ **ქვრივის ა—ს სასარგებლოდ** „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ მიიღო შემოწირულება:

ა. ჯ., ე. ა., ს. ტ., ნ. კ., რ. ბ., ი. გ., ვ. კ—ძისაგან და ს. დ—საგან—50 კაპ. (სულ 4 მანეთი), შ. მ—ძისა, გ. რ—ძისა და მიხეილ ნემსაძისაგან თითო მანეთი, უცნობთაგან 40 და 15 კ. სულ 7 მანეთი და 55 კ.

## წვრილი ამბები

✦ **უკვალოდ დაიკარგა** ტფილისში ივანე იერემიას-ძე მთისაშვილი,

✦ 12 ივნისს რიყის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა მიკირტიჩ სარქისას ძე აკაბაბოვი.

✦ 12 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 56 უპასპორტო.

✦ 13 ივნისს ტფილისში შეიპყრეს გარეგინ თარხანოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული საგუბერნიო გუბერნატორობიდან და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 13 ივნისს მტკვარში დაიხრჩო ტფ. მოქალაქე ხაჩატურ არუთინას-ძე აივაზოვი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება,** რომელიც 13 ივნისისათვის იყო დანიშნული, ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის ხატვის მასწავლებელთა კრების სხდომები** უკვე დაიწყო. კრებები შესდგება ყოველ-დღე გამოფენის დახურვამდე ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში.

## სასწავლებლებში

✦ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია წელს 58 კაცმა დაასრულა, 13 ქართველია: ვაწაძე გიორგი, კობახიძე კონსტანტინე, ნატროშვილი გიორგი, ხერხეულიძე დავით, ცინცაძე ალექსანდრე, ჩიტაია გიორგი, ერისთავი ალექსანდრე, ძიძაძე სტეფანე, ჟორდანია იოანე, ნაცვლიშვილი თომა, ნემსაძე მიხეილი, ოქროპირიძე ანდრია და ურუშაძე იუსტინე

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ანგარიშით 2,320 კაცში, რომლებმაც გაათავეს საოსტატო სემინარია, ქართველი მხოლოდ 469. ეს რიცხვი რასაკვირველია არ ეთანაბრება სკოლათა რიცხვს იმ ადგილეში, რომელიც დასახლებულია განსაკუთრებით ქართველებით. ამიტომაც დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა, რომ დაარსდეს ქართული საოსტატო სემინარია. სწავლა უნდა წარმოებდეს იმავე პროგრამით, როგორც მთავრობის სემინარიებში, მხოლოდ მიემატება კიდევ რამდენიმე სხვა ახალი საგანიც. კურსი სამი წლის იქნება.

✦ გუშინ გაიხსნა კავკასიის საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა ნახატების გამოფენა. გამოფენის გახსნის წინა ვაჟთა მესამე გიმნაზიაში გადახდილ იქმნა მოკლე პარაკლისი, შემდეგ კავკასიის ოლქის მზრუნველმა ნ. ო. რუდოლფმა გახსნა გამოფენა და ვრცელი შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. აქვე იყვნენ ოლქის ინსპექტორი ა. მ. სლოვინსკი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მოხელენი, მასწავლებლები და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. გამოფენა სამ ნაწილად არის გაყოფილი: 1) ვაჟთა მესამე გიმნაზიაში გამოფენილია გიმნაზიისა და არა გიმნაზიის მოწაფეთა ნახატები, ქალთა მესამე გიმნაზიაში—რეალურ სასწავლებლების მოწაფეთა ნახატები და ვაჟთა მეორე გიმნაზიაში სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო სასწავლებლების მოწაფეთა სურათები.

## ქუთაისი

✦ ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის 8 კლასი წელს 27 მოწაფეს გაუთავებია. ყველა ქართველია.

✦ ვაჟთა კლასიკური გიმნაზია 34 კაცს დაუმთავრებია. აქედგან 27 ქართველია. („კოლხ“)

## ფოთი

✦ 13 ივნისს 9 საათზე დილით ფოთში კარგად ცნობილმა ხე-ტყის მრეწველმა ალექსანდრე როსტომის ძე საბახტარაშვილმა, 72 წ. მოხუცმა, რევოლვერით თავი მოიკლა. განსვენებული დიდხანს იტანჯებოდა თირკმელებია სნეულებით. ხანგრძლივმა და აუტანელმა ტანჯვამ ბოლო დროს იქედნად შეერყია თვითცნობიერება, რომ თვისივე ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. განსვენებულს ფოთის საზოგადოება იცნობდა დიდად მორწმუნე, ქველმოქმედ და კეთილი-გულის ადამიანად. ქალაქის თვითმმართველობაში ბევრჯელ ხმოსნად ყოფილა არჩეული დიდი ხმის უმეტესობით და პირნათლადაც უმსახურნია.

## პროვინცია.

✦ **ხურვალეთის სასოფლო საზოგადოება.** ამას წინედ ჩვენ გვწერდნენ, რომ სოფელ კოდაში (გორის მაზრა), რომელიც 15 კომლისაგან შესდგება, ახალი სენი გაჩენილაო. ავადმყოფს თავი ესივდება, ყურებიდან და ცხვირ-პირიდან სისხლი სდის და სამი-ოთხი დღის შემდეგ კვდებაო. 28 მაისს გორის სამაზრო ექიმს, ახალქალაქის სასოფლო სამეურნეოს გამგესა და ფერშალს სოფ. კოდის მამასახლისის თანაშემწის თანდასწრებით დაუთვალიერებიათ იქაური მოსახლეები და აღმოუჩენიათ: ახალი სენი **სახადი ყოფილა.** სოფელ გაჩენილა აქ მაისში და აქამდე ავად 9 კაცი გამხდარა. მათგან 1 გარდაცვლილა, 6 მორჩენილა და 2 ჯერ კიდევ ავად არის. მათ ექიმი სწამლობს. იმ სახლებში კი, სადაც სენი ყოფილა, ექიმებს დეზინფექცია მოუხდენიათ.

✦ **სოფ. თეკლათში** (სენაკის მაზრა) კორწილში, ვარლამ თოფურიძეს ხანჯლით სასიკვდილოდ დაუჭრია სამსონ აშალაია.

✦ **სოფ. აჯამ** მახლობლად (ოზურგეთის მაზრა) ხეობაში დარაჯი დურუსუნ კვესი-ოღლი მოუკლავთ და გაუძარცვავთ. ეჭვი მიუტანიათ ს. ა. და გ. სალუქვაძეებზე, რომელნიც ვასილ სალუქვაძის მოკვლის შემდეგ, რაიც დურსუნს ბრალდებოდა, ემტერებოდნენ უკანასკნელს. ამავე დღეს მკვლელის ძმა სულია შეჰხვედრია ირაკლი სალუქვაძეს და რევოლვერით იქვე მოუკლავს. სულია შეიპყრეს.

## თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაზე

13 ივნისი.

წინა კრების ოქმის დამტკიცების შესახებ გ. დისამიძე სიტყვას ითხოვს საბუჰგალტერო ნაწილის უკედ მოწესრიგებაზე.

თავმჯდომარეს ამაზე ბაასი დაგვიანებულად მიაჩნია.

თ-დი გ. დისამიძე ითხოვს ოქმებში შეიტანონ, რომ ერთს წევრთაგანს უნდოდა ლაპარაკი და ნება არ მისცეს.

მდივანმა წაიკითხა მთელი წყება წინადადებათა.

პირველი იყო ერთი ჯგუფისაგან, რომელიც თავად აზნაურობის წინადადებას აძლევდა დ. ყიფიანის სახსოვრად შეეძინათ მისი მამული სოფ. ქვიშხეთში. ეს წინადადება დეპუტატთა საკრებულოს განსახილველად გადაეცა საადგილ-მამულო კომისიისათვის და ახლა კრებას მხოლოდ გასაცნობად წაეკითხა.

თ-დი აფხაზი უკმაყოფილებას აცხადებს, რომ ასეთი საინტერესო და რთული საკითხები, რომელნიც ყოველმხრივ განხილვასა და მოსაზრებას მოითხოვენ მხოლოდ მხედველობაში მისაღებად წარმოუდგინეს. უნდა დაწვრილებით განეხილათ ეს საკითხები და შემდეგ კრებისათვის რამე დასკვნისათვის წარმოედგინათო.

მეორე წინადადება იყო წ. კ. გამ. საზოგადოების თელავის განყოფილებისა, თავად-აზნაურობას შეენარჩუნებია ილია ჭავჭავაძის სახლი და კარ-მიდამო ყვარელში (თელავის მაზრა).

მესამე საკითხი იყო ფილოქსერასთან ბრძოლა.

ილიას მამულის საკითხიც, როგორც ყიფიანისა, გადაეცემათ საადგილ-მამულო კომისიისათვის. იმას განუხილავს საკითხი და წინადადება მიუცია დეპუტატთა საკრებულოსთვის ბანკს ვალი 5 ათასამდე თავის თავზე გადმოიტანოს და მამული დაირჩინოს. დეპუტატთა საკრებულომ დასამტკიცებლად წარმოუდგინა საგუბერნიო კრებას. კრებამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.

საფილოქსერო პარტიის მოქმედება ბევრმა დაჰგმო, რადგანაც არავითარი ნაყოფი არ მოაქვს მის მოქმედებასო. არ არსებობს სახელმძღვანელოები, არ უხსნიან და არ ასწავლიან მცხოვრებთ მის წინააღმდეგ ბრძოლას და თუ მომავალშიაც ასე დარჩა, არავითარი შემწეობა არ უნდა აღმოუჩინოთ, რადგან ტყუილად დაკარგულიაო. მიაქციეს ყურადღება იმასაც, რომ მთავრობაც უნდა უფრო ყურადღებით ეკიდებოდეს საქმესო და მასთან ერთად ჩვენც ვეწეოდეთ შრომას ფილოქსერის წინააღმდეგო.

ა. დისამიძე მხარს უჭერს თ-დ აფხაზს, რომ ეს საკითხები უნდა დაწვრილებით შეგვემუშავებინაო და ისე წარმოგვედგინათ კრებისთვისო. მასთან უკმაყოფილებას აცხადებს, რომ ასეთ საკითხებზე საჭიროდ გაუხდიათ საადგილ-მამულო კომისიის სანქცია.

გ. დისამიძეც მხარს უჭერს და აცხადებს, თუ საადგილ-მამულო კომისიას ასეთ ვრცელ კომპეტენციას და ამდენ ფულებს აძლევთ, მათი არჩევის ნებაც მოგვეცით, ისე როგორც დეპუტატების არჩევის ნება გვაქვსო. მასთან, არსებობს ჩვენი სამეურნეო საზოგადოება და რაც ამ დარგს შეეხება იმას უნდა მიენდოს, ფულებიც მას უნდა ეძლეოდეს და არა საადგილ-მამულო კომისიასო.

თ-დი დ. კ. ჩოლოყაშვილი განმარტავს, რომ საადგილ-მამულო კომისია არ არის რაღაც შემთხვევით ჭაარსებული ორგანიზაცია. ესეც არჩეულია, დამტკიცებული წესდება და განსაზღვრული ინსტრუქციები აქვს. როგორც საფინანსო საკითხები განიხილება ფინანსიური ორგანიზაციების მიერ და სხვა, აგრეთვე რაც შეეხება მამულებს, სწორედ ამ საადგილ-მამულო კომისიას უნდა ეკითხებოდესო.

თ-დი მ. გ. მაჩაბელი აღნიშნავს, რომ საადგილ-მამულო კომისიაზე იერიში მოაქვთ ყოველი მხრიდან, თვით დეპუტატთა საკრებულოს მხრივაც მხოლოდ კილვა-კიცხვა გვესმის. აღნიშნავს ასეთ აზრის უსამართლობას, რომ რახან კომისიის თავმჯდომარე ე. ი. მ[illegible] ხელმწიფო სამსახურშია ვერ დაიცავს ჩვენს ინტერესებს სასურველად, რადგანაც მას ამ გზაზე თავის უფროსებთან უხდება შეტაკებაო. აღნიშნავს, რომ იგი არასდროს არ შეუფერხებია მის დამოკიდებულ მდგომარეობას და როდესაც საჭირო იყო თავის უფროსებთანაც უშიშრად დაუცავს თავ.-აზნაურობის ინტერესები, ასე რომ ეგ მოსაზრება უნდა უკუ ვჰგდოთ; უფრო სამართლიანი იქნება ვიკითხოთ,—ვარგივარ საქმეს თუ არა და თუ უსარგებლო ვარ ამ საქმეში, თქვენი ნება იქნება ჩემზე უკეთესი დანიშნოთ. რაც შეეხება აქ წაკითხულ წინადადებებს ილიასი და ყიფიანის მამულებზე, ეგ რასაკვირველია ყველასთვის საინტერესო საქმეებია და ჩვენ კი, საად. მამულო კომისია, მხოლოდ ვიკვლევთ საკითხს, ვამზადებთ თქვენს მისაღებად. ეს მამულები უსათუოდ უნდა შევიძინოდ. კომისია ისეთს არაფერს აკეთებს, რისი გაკეთების უფლება მას არა აქვს.

თ-დი მ. დ. ჯორჯაძე უკმაყოფილებას აცხადებს იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ ეხლა არ ვიცით საკრებულო რას ითხოვს ჩვენგან. მხოლოდ მხედველობაში მისაღებად საჭირო არ იყო მათი წარმოდგენაო.

მდივანი განმარტავს, რომ ყიფიანის მამულზე ჯგუფის წინადადება მხოლოდ 3 ივნისს მივიღეთ და უფრო დაწვრილებით მოხსენება არ მოესწრებოდაო.

თავმჯდომარე უმატებს, რომ ეს საკითხები ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, მაგრამ თავს ვალდებულად ვხდით კრებასაც მოვახსენოთ ჩვენი გადაწყვეტილებაო.

თ-დი გ. დისამიძე იმეორებს, რომ ჯერ კრებისთვის უნდა მოგეხსენებიათ, მოგვესმინათ ჩვენი აზრიც და ისე მოქცეულიყავით, როგორც კრება გადასწყვეტდაო.

გადაწყდა ილიასი და დიმიტრის მამულების შეძენა; ფილოქსერის შესახებ წარმოითქვა სურვილი უკეთესად მოწესრიგებისა.

სმეტაზე გადადიან და გზა და გზა ზოგიერთ მუხლებზე ჩერდებიან.

თ-დი გ. დისამიძე. გადაწყვეტილი იყო შარშან ახალ ხარჯთ-აღრიცხვასთან წინა წლის ანგარიშიც იქვე ყოფილიყო მოყვანილი, რომ შეგვედარებინა.

თავმჯდომარე. შარშანდელი ანგარიშებშია, ორივე ხელთა გაქვთ და შედარებაც შეიძლებაო.

თ-დი აბხაზი. რას ნიშნავს დრამატ. საზოგად.-სათვის დახარჯულ 8 ათას მანეთზე ნათქვამი „საეჭვო“ თანხა?

თავმჯდომარე. დიდი ხარჯი მოუვიდათ და საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ გადაიხადონო.

# ორიოდე მოსაზრება ძველ ჩვეულებათა დასაცველად

(ქელეხი სამეგრელოში).

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ აზრად არა გვაქვს ჩვეულებით განმტკიცებული რომელიმე მოვლენა საზოგადოების ცხოვრებაში, ვაღიაროთ გადუვალ და მუდამ სასურველ კანონად. რასაკვირველია, ყოველივე კანონი, ყოველივე ჩვეულება-ადათი მოჰამს ხოლმე თავის დროს და თუ იგი ოდესმე საზოგადოების ყოფის ნამდვილი გამომხატველი იყო დროთა ვითარებით—იგი ძველდება. ყოველივე ადათი და ჩვეულება იმ დროს, როდესაც იგი საზოგადოებამ შეამჩნია და მისი აღსრულება, მისი მიდევნა თავის მოვალეობად აღიარა, ახალი ნაბიჯი იყო ცვლილებისაკენ, განვითარებისაკენ, მაგრამ გაივლის დრო, იცვლება საზოგადოების ინტერესები, იცვლება სოციალური კონიუნქტურა და განმტკიცებული ჩვეულება უკვე პროგრესის მაფერხებელი ხდება. ახალ ნიადაგზე მზადდება ახალი ადათიც, რომელიც ძირს უთხრის ძველს და დიდი ბრძოლის შემდეგ იმარჯვებს მაზე. ამრიგად არ არის სამუდამო არა თუ ჩვეულება და ადათი, მგონი თვით ჭეშმარიტებაც, მაგრამ საინტერესო აქ ის არის, რომ შესაძლებელია ადამიანმა ძველი ადათ-ჩვეულებათა ანალიზით მის თანამედროვე ჩვეულებას, და თვით კანონსაც იურიდიული თვალსაზრისით მოუნახოს ძირი, გაითვალისწინოს მისი ისტორია და მის ცვალებადობას თვალ-ყური ადევნოს. ჩემის აზრით, ერთი მხრით, შესაძლებელი უნდა იყოს სოციალურ მოვლენებსაც მივუყენოთ ბიოლოგიაში შემუშავებული ფორმულა: „ონტოგენეზის (განვითარება ინდივიდისა) მაჩვენებელია ფილოგენეზისისა (მთელი გვარის ისტორიისა“), რომელიც მშვენივრად უდგება ჩანასახის განვითარებას (ემბრიოლოგია). აი თუნდაც რომელიმე ადათი ავიღოთ, დავინახავთ, რომ ბევრი თანამედროვე სოციალური მოვლენანი ამ ჩანასახიდან განვითარებულან. არა თუ ადათის ისტორია გვიჩვენებს ამ მოვლენათა წარმოშობას, არამედ დავინახავთ კიდეკ, რომ თვით ესენი თანდათანი განვითარებაა ამ ადათისა.

აბა გავსინჯოთ ზოგიერთი ადგილები სამეგრელოში ჯერაც არსებულ „ტირილის“ (ქელეხის) ცერემონიაში და ვნახოთ არსებობს თუ არა „წინწასულ ევროპიულ“ ცივილიზაციის სხივით გაშუქებულ თანამედროვე ცერემონიაში რამე მსგავსება. ამ ცერემონიის დაწვრილებით აღწერას არ შეუდგები, რადგანაც ეგ უთუოდ ჩვენს მწერლობაში დიდი ხანია მოიპოვება. აქ მხოლოდ ანალოგიისათვის მოვიყვანთ მსგავს მომენტებს. თავდაპირველად ის ფაქტი, რომ მიცვალებულის ჭირისუფალი ატყობინებს თავის ნაცნობთა და ნათესავთ თავის უბედურებას და დანიშნულ დროს იწვევს ნუგეში სცენ, განა მაჩვენებელი არ არის იმ ეპოქისა, როდესაც საზოგადოება თემობრივ ცხოვრებას ეწეოდა? ყოველივე თემის წევრის დაკარგვა მისთვის მატერიალურადაც საზარალო იყო, რადგანაც თემს მუშა ხელი აკლდებოდა. ეკონომიურად დაახლოვებული და მჭიდროდ დაკავშირებული თემი ზნეობრივადაც გრძნობს ერთურთისაკენ ლტოლვილებას. მაშინ სინამდვილეში ხორციელდებოდა ახლა ჩვენთვის საიდეალო წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა: „ყველა ერთისათვის—ერთი ყველასათვის“. მაშინდელს ნიადაგზე წარმოშობილი შოთას საიდეალო მეგობრობაც, როდესაც მოყვასი მოყვრისათვის ჭირსაც არ უნდა ერიდებოდეს, „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. ამ იდეალისკენ მივისწრაფვით ჩვენც, მაგრამ თანამედროვე ცხოვრება კი შეუძლებლადა ჰხდის ასეთ კაცთ-მოყვარეობას: ახლა გამეფებულია უკიდურესი კერძოობა და ეგოიზმი. ასე რომ წვეულება—ქელეხი არ არის აზრს მოკლებული და ვცდებოდით, როდესაც ამ ხუთი წლის წინად უწყალოდ ვამსხვრევდით ყოველს ადათს განურჩევლად. რა თქმა უნდა, ეგ ჩვეულება ამ ბოლო დროებში თვით აფხაზეთშიაც ქრება, არა თუ სხვაგან, სადაც ცოტათი მაინც შეჭრილა „ცივილიზაციის სხივები“, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ბევრი სადი რამეც მოიპოვება ჩვენგან ათვალისწუნებულ ჩვეულებებში.

შემდეგ, სტუმრები ვალდებულნი არიან ჭირისუფალს „გადასახურავი“, შეძლებისა და გვარად, ფული მისცენ. ამრიგად ჭირისუფალს პატარა თანხაც კი შეუგროვდება ამ გადასახურავებიდან და გაწეულ ხარჯების უმეტეს ნაწილს ყოველ თვის დაჰფარავს ხოლმე. ხარჯი კი აუცილებელია, რადგანაც სოფლის ბოლოდან, ან მეორე-მესამე სოფლიდან მოსული სტუმარი მთელი დღე მშიერი ხომ არ დარჩება! მასთანვე იმ უძველეს დროს, როდესაც შემუშავდა ეგ ჩვეულება, უთუოდ მიცვალებულისაგან მონაგარი იხარჯებოდა, რადგანაც იგი თემის საკუთრებას წარმოადგენდა, აქ თითქოს ჩვენ დროინდელ „სამარხი კასის“ ჩანასახსა ვხედავთ.

რა აზრი ჰქონდა თავის დროს იმ წივილ-კივილს, ქალების წუწუნს და მოთქმას, მამაკაცთა ხმა-მაღლა ძახილს, რომელნიც ჩვენს „კულტურულს“ ყურებს აგრე ეხამუშება და სიყალბედ მიგვაჩნია? დავიწყოთ იქიდან, რომ ტირილის დღეს სოფლელები ადგენენ მგალობელთა გუნდს, მოზარეებს, რომელნიც ყოველ ახალ მოსულ მატირალს „ზარით“ შეხვდებიან! იქვე ჰკიდია ზარიც, სოფლის ეკლესიიდან მოტანილი, რომელსაც სამგლოვიაროდ რეკენ. ამას მიუმატეთ მომავალი ქალის შორიდანვე გაბმული გულის მომკვლელი კივილი, დამხვედრთა მოთქმით ტირილი და შეიძლება წარმოიდგინოთ რაოდენი ძლიერი შთაბეჭდილებას ახდენს ასეთი ახირებული ოპერა ადამიანზე და ამასთანავე რაოდენი ჰარმონია და სილამაზეა ამ მოქმედებაში! განა აქედან არ შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნაც კი გამოვიყვანოთ ჩვენი ერის კოსმოგონიაზე, იმაზე, თუ როგორ უყურებდა იგი სიკვდილს! ეგ ხმამაღლივი მოთქმა-ღაღადი, თითქო იმას გვიჩვენებს, თუ ჩვენი ძველები რამდენად ახლოს იდგნენ ბუნებასთან, რამდენად განხორციელებული იყო მათ წარმოდგენაში, რომ თავიანთ მწუხარებას (როგორც სიხარულს) მთელს ბუნებას შესჩივოდნენ; თითქოს ბუნებაც კი მათი მწუხარების მოზიარე უნდა იყოსო და განა ამას მე-XII საუკუნეშივე არ მიაქცია ყურადღება ჩვენმა გენიოსმა შოთამ, როდესაც მისი პოემის გმირები საერთოდ და ავთანდილი, თავის მგზავრობაში, თავის გულის დარდებს შეჰღაღა-

# გოდება

მოვპირქუშდი, ვით ზამთრის ცა, თვალი ისევ მოიცრემლა,
ბედმა მსხვერპლად სევდას მიმცა და დამწყევლა... და დამწყევლა.
მოვწყდი სოფელს წამებული, მოვწყდი მიწას და თვით ჩემ თავს,
ჩაითუთქა ცრემლით გული და სიამით აღარ ფეთქავს.
მივხვდი სოფლის სიცრუესა, ტანჯვას ღირსის უღირსისგან,
გულმა მძიმეთ დაიკვნესა, დაიგმინა სიმწარისგან.
ირგვლივ ყველას მტრულად ვუმზერ, შემეჯავრა ჩემი თავი,
შვების ლექსებს აღარა ვწერ, ჩამოუშვი დაბლა მკლავი.
თვით გავტეხე მე კალამი, თვით დავახრჩე ჩემი მუზა,
უარვყავი ყოფნის ჟამი—გული რისხვით აიგრუზა.
მივატოვე კაცთ-სავანე, მივატოვე ცოდვილთ ბინა...
მო, სიკვდილო, წამიყვანე, ქვეყნად ყოფნა მომეწყინა.
დაიწყევლოს ჩემი ენა ამ ქვეყანას რომ ვაქებდი,
ძირში მომტყდეს ის მარჯვენა, რომლითაც მე ლექსებს ვწერდი.
რისთვის მინდა მე სიცოცხლე, თუ კი უნდა ვივაგლახო,
რისთვის ვიყო მე მოლექსე, თუ სიმართლე ვერა ვნახო.
დავამტვრიე ჩემი ჩანგი, შევუკეთე ცეცხლში ბუხარს,
გულში მოვკალ ტკბილი ჰანგი, აღარ მინდა შვება მწუხარს...
მოვპირქუშდი, ვით ზამთრის ცა, თვალი ისევ მოიცრემლა,
ბედმა მსხვერპლად გოდვას მიმცა, და დამწყევლა... და დამწყევლა!

ი. მჭედლიშვილი.

თ-დი აბხაზი. ჩვენ იმდენი თანხა დავხარჯეთ გიმნაზიაზე და იმდენსაც კიდევ ითხოვენ, რომ არ შემიძლიან არ ვიკითხო, როდის მოეღება ბოლო ამ შუამდგომლობას სუბსიდიაზე?

შ. გ. მესხიშვილი წინააღმდეგია იმისა, რომ გიმნაზიას მიეცეს იმაზე მეტი, რაც თავად-აზ. ხარჯთაღრიცხვაშია ნაჩვენები. ჩემდა სამწუხაროდ ჩემ ხელთ არ არის გიმნაზიის სუბსიდიის სრულიად მოსპობა, მომატება მაინც შეუძლებელი უნდა იყოსო. ეგ გიმნაზია რაღაც უძირო ბოჩკაა, სადაც თავად-აზნაურობა აუარებელ ფულსა ჰყრის და ნაყოფი კი ძლიერ სამწუხაროაო, იქიდან მოხელენი მხოლოდღა გამოდიან, რომელნიც ჩვენი ქვეყნისათვის სრულიად გამოუდეგარნი არიან. თავად-აზნაურობამ ამ 35 წლის განმავლობაში გიმნაზიაზე $1^1/_2$ მილიონი მან. დახარჯა, მაშინ როდესაც სხვა კულტურულ დაწესებულებათ, როგორც წერა-კითხვის საზ.-ს 2,000 მანეთს აძლევს; სახალხო სკოლებს $1^1/_2$ ათასს და სხვა. ჩვენ გადავყევით კლასიკურ განათლებას და ხალხის ბედი სრულიად მივივიწყეთ. უნდა სოფელს დაუბრუნდეთ, იქ უნდა შევიტანოთ განათლების სხივი; თუ საფუძველი არ არის გამაგრებული, საშუალო განათლება, ინტელიგენცია ვერას გახდება.

ხმები: „სირცხვილია, სირცხვილი!“.

შ. მესხიშვილი. სირცხვილი ის არის, რომ კრებაზე თავის დაჭერა ვერ შეიძლეთ და სიტყვას მაწყვეტინებთ. თუ ვისმე რამე საყურადღებო არგუმენტები გაქვთ, ბრძანეთ და პასუხსაც გაგცემთ, მაგრამ ყვირილით არაფერი გაკეთდება (ტაში).

თ-დი დისამიძე. სირცხვილია ინტელიგენტი ასეთ სიტყვებს გამოსთქვამდეს.

შ. მესხიშვილი. თუ საქმეს ინტელიგენტურის თვალსაზრისით შეხედავთ, თქვენ მართალი იქნებით, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა ხალხის ინტერესები დავიცვათ, გიმნაზიას უნდა შევუმოკლოთ სუბსიდია და სახალხო განათლებას მივაქციოთ ყურადღება.

თ-დ. დ. გ. გაჩნაძე იზიარებს მესხიშვილის აზრებს გიმნაზიაზე და ცდილობს ციფრებით დაამტკიცოს შეუწყნარებლობა ასეთი დიდი ხარჯებისა, როდესაც სოფელი გაჭირვებაში იხრჩობა. საბოლოოდ უნდა გადაიდოს განსაზღვრული თანხა გიმნაზიისათვის და ბოლო მოეღოს ყოველ წლივ ხარჯის გადიდებას. ინტელიგენცია მოწყვეტილია ხალხს. ორატორი წინააღმდეგია იმისა, რომ ასე გადავაჭარბოთ კლასიკურ განათლების საქმეში და სამეურნეო განათლებას ყურადღებაც არ მივაქციოთ.

თ-დი მ. გ. მაჩაბელი იმეორებს, რომ გიმნაზია მოხელეებს გვიზდის, რომელთაც ადგილი არ ექნებათ თავის ქვეყანაში და რუსეთის სხვა გუბერნიებში გაისტუმრებენ. ისიც საჭიროდა სოფლის სამეურნეო განათლების გავრცელებას. სხვათა შორის ამბობს, რომ გიმნაზიისათვის 60 ათასი სრულიად საკმარისიაო; სხვა გიმნაზიები უფრო ნაკლებ თანხიდაც კმაყოფილდებიან, მასთან გიმნაზია შეუძლიანთ მშობლებმა შეინახონო.

(ზოგნი ტაშს უკრავენ. ხმაურობაა. თავმჯდომარე რამდენჯერმე აფრთხილებს, რომ კრებას დავხურავო).

თ-დი გ. დისამიძე (მაღალი ხმით). რაღას გვაშინებთ, თუ დახურავთ — დახურეთ!

თ-დი მ. გ. მაჩაბელი (იმავე ხმით) ნუ ჰყვირით, თუ შეიძლებოდეს! (საშინელი ხმაურობა და არეულობაა. გაისმის ხმები: „დისამიძე გავიდეს კრებიდან!“ ამ ყვირილში თ-დი აფხაზი წინადადებას იძლევა თ-დ გ. დისამიძე დაითხოვონ კრებიდან).

თავმჯდომარე: როგორც თავმჯდომარეს დიდი უფლება მაქვს მონიჭებული, მაგრამ არას დროს არ ვსარგებლობდი ამ უფლებით. რადგან აგრეა, იძულებული ვარ მოვითხოვო წესიერება. კანონი თავად-აზნაურთა კრებას უფლებას აძლევს, თუ რომელიმე წევრი დაარღვევს წესიერებას, მისცეს იმას შენიშვნა, დაითხოვოს კრებიდან და სრულიადაც გამორიცხოს წრიდან. აქ ერთი წევრი წინადადებას იძლევა თ-დ გ. დისამიძე დათხოვნილ იქმნას კრებიდან და კენჭი უნდა ვუყარო ამ წინადადებას.

თ-დ აბხაზი. თუმცა არეულობა დისამიძემ გამოიწვია, მაგრამ წესიერებას ყვირილით თ-დ გ. ამირეჯიბიც არღვევდა და ისიც უნდა იქნას დათხოვნილი.

(კენჭის ყრით გადაწყდა თ-დ გ. დისამიძე და თ-დ გ. ამირეჯიბი დათხოვნილ იქმნან კრებიდან. კრება გრძელდება).

თ-დ მ. გ. მაჩაბელი სიტყვას განაგრძობს. თუმცა გიმნაზიაც საჭიროდ მიმჩნია, მაგრამ მაზე ნამეტანი იხარჯება და ხარჯები უნდა შემცირდეს.

თ-დ დ. გ. ჯორჯაძე. ამ 10—15 წლის წინად, და შემდეგაც, როდესაც გიმნაზიის შენობას ვიწყებდით მე წინააღმდეგი ვიყავი და ეს პირნი კი, რომელნიც ახლა ასე მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ გიმნაზიის წინააღმდეგ, ასეთივე მჭერმეტყველებით იცავდნენ მას. როდესაც გიმნაზია აშენდა, საქმე ასე გაიზარდა და ხარჯსაც იწვევს, ახლა იძლევიან წინადადებას არ მიეცეს შემწეობაო, ეს გიმნაზიის მოსპობას უდრის. საკვირველია, რატომ მარტო გიმნაზიის ხარჯსა სთვლიან ზედმეტად და ამავე დროს ყურადღებას არ აქცევენ ისეთ ხარჯებს ისეთ დაწესებულებებზე, რომელთაც ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვთ (მაგ. სახაზინო სკოლების სუბსიდიები) ასეთი თანხა 86 ათასს უდრის. მე უწინ ვყვიროდი: „ჩვენ არ გვინდა დიპლომები, ჩვენ ცოდნა, სასარგებლო ცოდნა გვინდა მეთქი“ და მაშინ მ. ვ. მაჩაბელი მომხრე იყო გიმნაზიისა. მართალია დიდ-ძალი ფული დაიხარჯა შენობაზე, მაგრამ ნაცვლად მილიონის საღირალი ქონებაცა გვაქვს.

ი. ს. ჯაბადარი. თუმცა ისეთ საერთო, პრინციპიალურ საკითხებს, როგორც მესხიშვილი შეეხო, ადგილი არ უნდა ჰქონდეს აქ, რადგანაც ასე ვერაფერს გადავწყვეტთ, მაგრამ რადგანაც მთელმა წყებამ ილაპარაკა, მეც ნებას ვაძლევ ჩემს თავს პასუხი გავცე მათ. ორატორი აღნიშნავს, რომ პრინციპიალურ საკითხებშიაც ძლიერ ზერელედ ეხებიან საგანსო. იძახიან-კლასიკური განათლება არ გვინდაო, მაგრამ საკითხავია, როგორი კლასიკური განათლება არ უნდათ. არსებობს განსვენებული ტოლსტოის (განათლ. მინისტრის) ტიპის კლასიკური განათლება და ისეთიც, როგორც ევროპაშია, მაგ. საფრანგეთში. ორივეს ერთნაირად არ შეიძლება მოვეპყრათ. ლაღადებენ, ხალხს უნდა დავუახლოვდეთ, ხალხთან კავშირი გასწყვიტა ინტელიგენციამ და სხვა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ (მიუბრუნდება მ. ვ. მაჩაბელს) სწორედ თქვენ პირადად გაჩინოვნიკდით, თქვენ დაჰკარგეთ ყოველივე კავშირი ხალხთან, თორემ ჩვენ ახლოს ვდგავართ მასთანო.

მ. გ. მაჩაბელი. გიცნობთ ხალხი, თუ რაცა ხართ!

ი. ს. ჯაბადარი. დიაღ, გვიცნობს და თქვენც გიცნობთ. ეგ ძველი საკითხია: საშუალო განათლება თუ სამეურნეო, სახალხო და ასეთი ფართე-ფართე სიტყვებით ვერაფერს გადასწყვეტავთ.

გიმნაზიის შენობაზე ამდენი იხარჯება, ეგ უძირო ბოჩკააო, ბრძანებენ. თუ იხარჯება ქონებაცა გვაქვს. ჩვენა გვაქვს 6 უესეტინა ადგილი, რომელიც $22^1/_2$ ათასი და მეტიცა ღირს და გვაქვს მილიონად ღირებული შენობა. მასთას ამდენიც არა დაუხარჯავს-რა თავად-აზნაურობას. ცხვედაძემ კაპეიკობით შეაგროვა ასაშენებელი ფული და ასეთი შენობა მოგცათ და ვერ მოგივლიათ, გაჰყიდეთ და თქვენს ფულს აიღებთო. ერთი გიმნაზიის ნაცვლად თითქმის სამი გაქვთ, გაქვთ ქალთა სკოლაც; იქ მარტო სწავლება კი არ არის, იქ აცმევენ შიშველ-ტიტველ ბავშვებს, იქ—აჭმევენ და სამოსწავლო იარაღს აძლევენ. თავად-აზნაურობამ უნდა შეინახოს ეს გიმნაზია. (ტაში).

თ-დ. გ. დ. გაჩნაძე წინააღმდეგია გიმნაზიას ყოველთვის ეძლიოს, მისი თხოვნის მიხედვით სუბსიდია, რომელიც ყოველ წლობით მატულობს. თუ ერთმა კაცმა მოაგროვა ამდენი ფული, ეგ კიდევ არ ნიშნავს ყველას შეეძლოს ეგ და თავად-აზნაურობას მძიმე ტვირთად აწევს გიმნაზია. ქონება გვაქვს, მაგრამ იმდენი ვალებიცა გვაქვს, რომ ჩვენი პატარა ბიუჯეტი თითქმის იმას უნდება და სხვა დაწესებულებათ ველარ ვეხმარებით.

ალ. მდივანი ვრცელ სიტყვაში აქარწყლებს გიმნაზიის მდგომარეობით უიმედობაში ჩავარდნილთა მოსაზრებათ. ციფრებითვე ამტკიცებს, რომ ეს გიმნაზია 70—80 მანეთით იაფი ჯდება მთავრობის გიმნაზიაზე. იგი აღნიშნავს, რომ ფრიად საყურადღებო ისტორია აქვს ამ გიმნაზიას. იგი თავდაპირველად სახალხო, პირველ დაწყებითი სკოლა იყო და მხოლოდ შემდეგ განვითარდა ამ მდგომარეობამდე. ყველა პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლება მშობლიურ ენით მხოლოდ ორ პირველ წელს მიდის და აქ კი პირველ სამს წელს სწავლა ქართულად სწარმოებს ❧ ახლანდელ ჩვენი ენის მდგომარეობის გათვალისწინებასთან ესეც არ უნდა დავივიწყოთო. მასთან, ასეთი მდგომარეობა მუდმივი ხომ არ არის. სანამ ვალები აქვს გიმნაზიას, მანამ ესაჭიროება ხელის მომართვა და შემდეგ კი შეიძლება თავისი თავი თითონ შეინახოს.

ასეთ კამათის შედეგი ის იყო, რომ კრებამ ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულ 60 ათას მანეთს მიუმატა 4,800 მანეთიც, რასაც სკოლის კომიტეტი ითხოვდა; 20 ათასიც ვალის გასასტუმრებლად.

კრება გადაიდო 14 ივნისის საღამოსათვის.

დებს მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს! ტარიელი მხეცებსაც კი ელაპარაკება, ასე რომ აქ საოცრად არის გაყვანილი იდეა ყოველივე არსის ერთობისა და ნათესაობისა. აქედან, სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ გაჟღენთილია ქართველთა ზნე-ჩვეულებებით და ადათებით.

(ეგ ზარი ჯერ არ არის ჩაწერილი და თუმცა იგი მუსიკის მხრით არ უნდა იყოს ისე საყურადღებო, მაგრამ მაინც სასურველია ისიც შევინახოთ). რომ ხალხური პოეზიას ან მუსიკას არ დაუტოვებია ისეთი მოვლენა ხალხის ცხოვრებაში, ადამიანის გაჩენიდან მის სიკვდილამდე, რომელიც არ გამოეხატოს და აი ეგ ტირილი მთელი ოპერაა შემზარავი და თან დიდებული, რაღაც არა ჩვეულებრივ მძლავრ მოვლენის გამომხატველი.

რაც შეეხება მოთქმას ეგ ხომ თანამედროვე „სიტყვებს“ უდრის. როგორც ახლა, აგრედვე მაშინაც საჭირო იყო მიცვალებულის ვინაობა, მისი წარსული, მისი კეთილი საქმეები უფრო ვრცელ საზოგადოებას სცოდნოდა და აი ქალებიც ღირსეულად ასრულებდენ ამ საქმეს; იმდენად ღირსეულად, რომ მათ ხერხიანად წარმოთქმულ სიტყვებზე შეუძლებელია ცრემლები არ გადმოგცვივდეთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ისინი მოთქვამენ სიმღერით, ასე რომ აქაც არ არის სიყალბე, რამდენადაც არ არის სიყალბე საფლავზე წარმოთქმულ „სიტყვაში“ და ჩვენ ვჩქარობთ, როცა სასაცილოდ ვიგდებთ ამ ჩვეულებას.

დასასრულ მოვიხსენიოთ კიდევ ის, რომ რამოდენიმე ხნის განმავლობაში ჭირისუფლები ხორცს არ ეკარებიან. აქ უთუოდ ის ფსიხოლოგიური მომენტი უნდა აღინიშნოს, რომ სანამ ჭირისუფალს ჯერ კიდევ თვალწინ უდგას დაკარგული ძვირფასი ადამიანი, მაშინ ხორცის მიკარება ერთგვარ უარმყოფელ ემოციებს იწვევს. ჩვენ რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, იყო თუ არა როდისმე ან სადმე, სადაც კი ჩვენს წინაპრებს უმთავარნიათ, თვით ტიგროსისა და ევფრატის მიდამოებიდან ამ ორ ზღვათა შორის მდებარე მხარეში მოსვლამდე, მიღებული კაცის მჭამლობა, მაშინ თამამად შეგვეძლო ეგ ჩვეულება ამ ნიადაგზე აღმოცენებულად გამოგვეცხადებინა და მაშინ მისი შინაარსიც ჩვენთვის ცხადი იქნებოდა. მაგრამ ჯერ-ჯერობით ისტორიკოსებს და მკვლევართ იმ თითო-ოროლა, ცეცხლით გახრუკულ ძვლების მიხედვით, შესაძლებლად არ მიაჩნიათ დაასკვნან ჩვენს ტერიტორიაზე როდისმე კანიბალიზმის არსებობა.

თუ შესაძლებელია ფიზიოლოგიურ თავისებურებათა მემკვიდრეობით გადაცემა (რაც უმნიშვნელო გამონაკლისით მართლდება) არა ნაკლებ შესაძლებელია ფსიხიურ თავისებურებათა წინაპართაგან დაყოლა. სადაც, მაგალ., ვარდი ან სხვა ყვავილებიც იზრდება, უმეტეს შემთხვევაში მარგებელი ჰავაცაა და, რადგანაც ჩვენი (შორეული) წინაპრები (თუმცა შეუგნებლად) განიცდიდნენ მას კეთილს გავლენას, ყოველივე იქ მცენარე ყვავილებსაც სიამოვნებით ყნოსავდნენ და ეგ სიმპატია ამ ყვავილებისადმი მათგან ჩვენც შეუგნებლად გადმოვიღეთ. მეორე მხრით, რადგანაც ყოველ ჭაობიან და ლამპალ არე-მარეში უფრო ბევრია ყოველგვარი ქვეწარმავალი, ან მავნე გვარი ამფიბიებისა და რადგანაც ასეთი ადგილები ყოველივე ავადმყოფობის ბუდე იყო, ჩვენს წინაპრებს ისინიც ეზიზღებოდა და ჩვენც შეუგნებლად შევითვისეთ, პროფ. პეტრაჟიცკის საყვარელი თერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „წმინდა მოტორულ-რეპულსიური ემოციები“ მათ წინააღმდეგ. ამგვარადვე, რომ მივიღოთ კავკასიაში ძველად კაცთ-ჭამიობის არსებობა, როგორც პოსტულატი, მაშინ, ზემო-მოყვანილ ორ მაგალითის მსგავსად ვიტყოდით, რომ თუ ჩვენი წინაპრები რამოდენიმე დღით არ ეკარებოდნენ ხორცს თავიანთ მკვდრის სიყვარულით, ჩვენც მივიღეთ, მხოლოდ უშინაარსოდ, ეგ მათი საქციელი და იგი ჩვეულებად გადაგვექცა. რასაკვირველია ბევრნაირი ვარიაციები არსებობდნენ თურმე კანიბალიზმის ინსტიტუტში, მაგრამ მათი ცალ-ცალკე ანალიზი აქ საჭირო არ არის. აქ მიზნად გვქონდა განგვეხილა შესაძლებლობა კანიბალიზმის ნიადაგზე თანამედროვე ჩვეულების აღმოცენებისა. ამასთანავე, ვინ იცის, ეგებ შესაძლებელი იყოს იგი (ჩვეულება) ქრისტიანულ ნიადაგზე აღმოცენებულიყოს: ამ შემთხვევაში ხორცის უჭმელობას თითქმის იგივე აზრი ექნება, როგორც საერთოდ მარხულობას, მხოლოდ მიცვალებულის საპატივცემლოდ. ჩემის აზრით, ეს საკითხი ღირსი უნდა იყოს უფრო ღრმა დაკვირვებისა და კვლევისა.

ხ. დადიანი.

## დეპუტაცია სახ. სათ. დეპ. ე. გეგეჭკორთან

11 ივნისს სოფელი ოფჩის (დიმის საზოგადოება, ქუთაისის მაზრა) მცხოვრებთა რწმუნებულები რიცხვით ოთხი კაცი წარუდგა სახელ. სათ. წევ. ევგენი გეგეჭკორს.

რწმუნებულებმა უამბეს დეპუტაციას ვრცელი ისტორია ოფჩის ორკლასიანი სკოლის შენობის აგების შესახებ და ხაზი გაუსვეს შემდეგ გარემოებას: თორმეტი წელიწადია, რაც დავაა ამტყდარი შუა ადგილის არჩევის შესახებ სკოლის შენობის ასაგებად და ეს დავა სასურველი შედეგით ვერ დაბოლოვდა, რის მიზეზიც გახდა პირადი ინტერესი მცხოვრებთა ერთი ნაწილისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მხ.ივ. 1909 წელს სახალხო სკოლების ინსპექტორ სუდაკოვის თანადასწრებით სოფლის საზოგადოებამ დაადგინა განჩინება აეგო ქვის შენობა შუა გულში (ციკვაძის ადგილი), ამავე განჩინების ძალით შეუძლებლად ჩასთვალეს სკოლის აგება სასოფლო კანცელარიასთან (ძველ ადგილზე). დაინტერესებულმა საზოგადოების მცირე ნაწილმა ადგილობრივ ადმინისტრაციის დახმარებით და ხელის შეწყობით შეადგინა ყალბი განაჩენი და რევოლიუციონურად შეუდგა შენობის აგებას სოფლის განაპირა ადგილზე, წინააღმდეგ საზოგადოების სურვილისა. სოფელმა რწმუნებულთა საშუალებით შეიტანა საჩივრები სხვა და სხვა საადმინისტრაციო დაწესებულებაში, მაგრამ საქმის დაბოლოებას ვერ ეღირსა. დასასრულ რწმუნებულებმა სთხოვეს დეპუტატ გეგეჭკორს დახმარება ამ საკითხის გამორკვევაში. დეპუტატმა აღუთქვა შუამდგომლობა როგორც სასწავლო მთავრობის, აგრედვე ადმინისტრაციის წინაშე.

კ. ჩხ.

## მოწერილი ამბები

ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხანა (ბორჩალოს მაზრა). ალავერდის მთები ხრიოკ დარიბ ბუნებას წარმოადგენს, ამ მთებზე და მის მდაბლობ მიდამოებში არც ერთი ძირის ხე არ მოიძებნება, წამლადაც არ მოიპოვება არავითარი მწვანეულობა. სამაგიეროდ აქ არის მდიდარი მადანი ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის და სხვ. აქ განსაკუთრებით ბერძნები ცხოვრობს, დაახლოებით ათას კომლამდე, რომლებიც ამ ქარხნის შემხედვარეა. თუ ამ ქარხანამ არ იმუშავა ამდენა მცხოვრებთ გადასახლება მოუხდებათ. ალავერდის ქარხანა ეკუთვნის საფრანგეთის უსახელო საზოგადოებას. ამ საზოგადოებას რამდენიმე განყოფილება აქვს შაგალაში, შამლუგში, ახტალაში და ზანგეზურში. ამ საზოგადოებას ძლიერი ორგანიზაცია აქვს კაპიტალისტურ ნიადაგზე, არ გვსანან ჩვენს უმოქმედო მრეწველებს. ისეთ ცუდ პირობებში იმყოფება აქაური მუშები, რომ კაცმით აუწერელია. აქაურ მუშებში ძალზე შეუგნებლობაა. გათენდება დილა, საუგორებენ „საყვირს“ და იწყებს ქარხნიდან გამომგზავრი მუშები, მუშაობა იწყება $6^1/_2$ საათზე და სადამოს 6 საათზე სადილად ისვენებენ $^1/_2$ ს. დღიურად ამუშავებენ 11 საათს. ხელფასი 70 კაპ. ამ ქარხნებში მუშაობენ მუსულმანები და ბერძნები. აქაურ ადმინისტრაციას ისე აქვს დაყენებული თავის მრეწველობის საქმე, როგორც მათ სურთ; აქ არ არსებობს არავითარი კანონიერი დაწესებულება, არავითარი საქარხნო ინსპექცია, აქ იმყოფება მხოლოდ ერთი ბოქაული, ეს არის ყოველივე კანონის გადამწყვეტი. აქ არ არსებობს არავითარი კვირა-უქმე, დღე ისე გამუდმებულად მუშაობენ. ამ ქარხნების ხელმძღვანელები ფრანგი ინჟენერებია, აქ ამ ქარხნის კანტორებში უმეტესობა ქართველებია.

ამ კომპანიას აქვს ალავერდში საავადმყოფო 12 საწოლით, ერთ ექიმით და ერთ ფერშლით. საავადმყოფოში მოჰყავთ მადაროში დაშავებული მუშები, საუბედუროდ ექიმობა აქაური ექიმის შემწეობით ვერ არის რიგზე დაყენებული. ექიმი თვეში 200 მანეთს დებულობს, აქვს კომპანიის სახლი და სხვა. ფერშალს ხადხი არ კმდერის.

კომპანიის ხარჯზე უკვე დაქირავებული მეეზოვეები, რომლის საქმეს უნდა შეადგენდეს ეზოების დაგვა და სისუფთავის დაცვა, ესენი მეეზოვეებს კი არასრულებენ, არამედ დაქიობას, მზარეულებას, ამის გამო ძლიერი ანტისანიტარული მდგომარეობაა. საჭიროა უოველივე მაგას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. აქ ფაბრიკა „შირიტიკში“ და „რუდნიკებში“, არიან ეკრეთწოდებული მაიჯარადრენი, სადაც ვითომ მათი კანზრახვით ფული უნდა მოიგონ, მაგრამ ძალზე სტუვდებიან; უოველივე თვის ბოლოს перебр-ს ხედავენ და მეტს არაფერს. ეს იმის ბრალია, რომ ერთი-მეორეს ეცილებიან, იჯარას დაბლა ფასებში იღებენ და ამით თვითონვე ზარალობენ. დაახლოებით ამ საზოგადოებას ამ წარმოებაში აქვს დაბანდებული 2 მილიონ ნახევარი მანეთი და ამ უველა განყოფილებიდან გააქვს წელიწადში $1^1/_2$ მილ. ნადდი მოგება.

ნესტორ ცინცაძე.

ს. ბუკის-ციხე (გურია). კვირას, 5 ივნისს, წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთა წლიური კრება მოხდა, რომელსაც 25 წევრიდან 15 დაესწრო. კრებამ განიხილა გასულ წლის ანგარიში. სამკითხველოს დაარსებიდან შემოსულა საწევრო გადასახადი 24 მ. 66 კ.; კერძო შემოწირულებანი 123 მან. 95 კ., სულ 148 მ. 61 კ. ამ თანხიდან ჟურნალ-გაზეთებში, წიგნების ავინძეში, სტოლში, სკამებში დახარჯულა სულ 112 მან. 94 კ., შემოვიდა სხვა და სხვა დაწესებულებებიდან და პირებისაგან წიგნებით შემოწირულებანი, 75 მ. 60 კ. სამკითხველოს დღევანდლამდე შეუძენია 600 ტანი წიგნი. მისი ქონება 200 მანეთს უდრის. ანგარიშის განხილვის და დამტკიცების შემდეგ კრება გადავიდა სამკითხველოსათვის საკუთარ შენობის აგების საკითხზე; ამ საკითხის შესახებ გამოითქვა სურვილი, რომ აიგოს საკუთარი შენობა; ამ სურვილის სისრულეში მოსაყვანად კრებამ აირჩია კომისია სამი კაცისაგან, რომელთაც დაავალა შენობის ასაგებად საჭირო თანხის შეგროვება. ამით კრება დასრულდა.

სასურველია ამ სიმპატიურ და სასარგებლო დაწესებულების სათავეში მდგომმა პირებმა მეტი ენერგია და თვით-მოქმედება გამოიჩინონ და არ დაზოგონ შრომა სამკითხველოს საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის. დიდ მადლობას უცხადებთ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას სხვადასხვა ავტორების თხზულებების, ღირებული სულ 29 მ. 98 კ., შემოწირვისათვის.

მადლობას ვწირავთ აგრეთვე არსენ ანტ. კოტრიკაძეს, რომელმაც გამოუწერა სამკითხველოს მიმდინარე წლის ჟურნალი „ნაკადული“ და შემოსწირა ფულად ხუთი მანეთი.

სამკითხველოს გამგეობის წევრი
სამსონ ს. კალანდაძე.

**სურები** (გურია). 29 მაისს ადრე დილით სასოფლო კანცელარიასთან ყიდაცებმა სროლა ასტეხეს. აცნობეს ბოქაულს—კანცელარიას დაეცნენო. ბოქაული ერკეთის საზოგადოებაში იყო, სადაც წინა დღით აგაზაკებს სასიკვდილოდ დაეჭრათ იქაური მცხოვრები კორომინაძე და ამიტომ ის მხოლოდ მეორე დღეს, ორშაბათს, მოვიდა სურებში. ბოქაულმა მისცა ხალხს ოთხი დღის ვადა; ამ ვადაში უნდა წარედგინათ დამნაშავენი, წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე ჩამოყენებულ ხუთ „სტრაჟნიკს" კიდევ ხუთს მიუმატებდნენ და ამას გარდა, ჯარიმის სახით 4000 მანეთს გადაახდევინებდნენ. ისედაც განაწამებ საზოგადოებისათვის ეს ამბავი ცეცხლზე ნავთის გადასხმა იყო. მან არ იცოდა რა ექმნა, სად ეპოვნა გამოსავალი გზა, როგორ დაეხწია თავი ამ გაუთავებელ უბედურებისათვის. ხალხი ფიქრობს, რომ ამის მომქმედი ის ბატონი დეზერტირებია, რომლებმაც, როგორც ეს აღნიშნული იყო „სახალხო გაზეთის" 308 ნომერში, მიზნად დაისახეს საზოგადოების გაპარტახება, რადგანაც ალბად მათ ხელს არ უწყობდნენ, არ ინახავდნენ, მაგრამ ყველას ეჭვი ებადებოდა, რომ მარტო არ არიან ისინი, რომ ყიდაცეები უზიარათ ხელს უწყობენ, ყველა ამგვარ სისაძაგლეზე აქეზებენ, რათა საზოგადოება ცეცხლს მისცენ. ასე რომ არ იყოს ამდენ თავხედობას ვერ ჩაიდენდნენ. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს აგროვებენ კანცელარიაში კვირას, ორშაბათს, სამშაბათს. ყველგან ვრცელდება ხმა, რომ ყაჩაღები ემუქრებიან სიკვდილით ყველას, ვინც კი რაიმე ზომების მიღებას გაბედავს მათ წინააღმდეგ. მოთმინების ფიალა ივსება, ხალხი თავს ვეღარ იკავებს: „ჩვენი ცხოვრება მაინც აღარა ღირს, ჩვენ ამ ლაწირაკებისთვის ვყოფილვართ განწირული, წაგვიყვანეთ, მოგვანადგურეთ, სანამ უნდა ვიყოთ ასეთ მდგომარეობაში—გაჰყვიროდნენ ერთხმად. ბოლოს ხალხმა მოითხოვა წაიყვანონ ისინი დეზერტირების ოჯახში, რომლებიც შემნახველად და ხელის შემწყობად მიაჩნია ყველას. ჩვენ მათ გარედ გზა არ გვაქვს—იყვიროდა ყველამ. ბოქაული იძულებული იყო ხალხის სურვილს თანახმად მოქცეულიყო. ეს ზღვა ხალხი ბოქაულის თანხლებით აიყარა და გასწია დეზერტირების ოჯახებისკენ. მთელი დღე და ღამე იდგნენ მათ ოჯახებში. ხალხმა გადასწყვიტა: თუ სამი დღის განმავლობაში არ გამოჩნდებოდნენ, „პრიგოვორით" გაეცათ მათი ოჯახები და კიდევ სხვა ორი, როგორც ხელის შემწყობნი. ამ ოჯახებიდან მამაკაცები ბოქაულმა ყველასი დაიჭირა და ჩოხატაურში გაგზავნა, ხოლო ქალებს კი მისი სიტყვით „პრიგოვორის" გაცემის შემდეგ მოიკითხვენ. ამის შემდეგ ხალხს დაშლის ნება მისცეს. ამით გათავდა ჯერ-ჯერობით ეს სამწუხარო ამბავი. ორ-მრავალ რიცხოვან ოჯახს სრული გავერანება მოელის, ხოლო ეს თავზე ხელ-აღებულნი ვაჟბატონნი რას მოიმოქმედებენ, რამდენს მარცხს მოახდენენ ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია.

ქვემო სურების სკოლის მასწავლებლები 19 ამ ივნისს ეპირებიან ამავე სკოლის 25 წლის არსებობის აღსანიშნავად დღესასწაულის გადახდას. ჩოხატაურის საბოქაულოს მასწავლებელთა კრებამ 30 მაისის სხდომაზე გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ამ დღესასწაულში. „ვინმე"

# ალბანეთის აჯანყება

დეპეშა

13 თიბათვე.

**ცეტინიე.** ალბანელებმა ოსმალეთის ელჩს გადასცეს თავიანთი პასუხი, რომელიც იზმაილ-ქემალმა შეადგინა. ალბანელები ითხოვენ, რომ უცხო სახელმწიფოებმა უთავდებონ, თხოულობენ ფულს დანგრეულ სოფლების აღსადგენად და იარაღის აყრაზე უარი განაცხადეს, სამხედრო ბეგრის გადახდა ალბანეთში უნდათ, ალბანურ ენის თანასწორობას და ინსპექტორების დაწესებას. ინსპექტორებად ალბანელები უნდა დაინიშნონ. ამას გარდა ითხოვენ ქალაქთა და სკოლების დამოუკიდებლობას. ალბანეთის საბაჟოების შემოსავალი ალბანეთს უნდა მოხმარდეს.

### გაზეთებიდან

თურღუთ-ფაშას მოწოდება, რომლითაც მან ალბანელებს მიჰმართა, ჩერნოგორიაში დაწვრილებით განიხილეს და ჩერნოგორიულ ენაზე თარგმანი ოსმალურ ნამდვილს შეადარეს. ყველას თვალში ეცა ის გარემოება, რომ თარგმანში ერთი ფრაზა იყო გამოტოვებული; თურღუთ-ფაშა იმუქრება, ვინც არ დაგვნებდება ერთიანად გავწყვეტავთო. ეჭვი აქვთ, რომ ეს ფრაზა განგებ უნდა იყო გამოტოვებული, რადგანაც იგი მოწოდების ნამდვილი აზრია. მაგრამ ყველას უნდა სცოდნოდა, რომ ოსმალეთი უამისოდაც ალბანელებს არ დაინდობდა, თუ არ დაჰმორჩილდებოდნენ. ეხლაც ჯერ მოლაპარაკება არ გათავებულა და ოსმალები ალბანეთს იკლებენ. მრავალი ალბანელი სამშობლოდან გარბის. ბევრი მათგანი დალმატიას, ქ. კატტაროს გადასულა. როგორც გაზეთები იტყობინებიან, ეს ხალხი ტან და ფეხშიშველა ყოფილა. დაფლეთილ-დაგლეჯილები საშინელ შთაბეჭდილებას ახდენენ თურმე. არც იმათი მდგომარეობა ყოფილა უკეთესი, ვინც ჩერნოგორიაში დარჩენილა. ნახევრად დამშეულთ ვადამდები სენიც დარევია და მრავალი იხოცება. რას იზამს ამოდენა დამშეული, სახლ-კარ აწიოკებული ხალხი, თუ ბრძოლამ დიდხანს გასტანა, ძნელი საფიქრებელია. თუ ალბანელები დამარცხდნენ, მაშინ ხომ სახლში აღარ შეესვლებათ და მთელი ეს ხროვა ჩერნოგორიას დააწვება თავს. ჩერნოგორია ეხლაც უკმაყოფილოა ამითი, რადგანაც დიდ ხარჯს იწვევს მათი მოვლა-შენახვა. აკი ამიტომ იყო, რომ განაცხადა: ომი მირჩევნიან ამათ რჩენასაო. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინედ ჩერნოგორიამ პეტერბურგს კაცი გაჰგზავნა, ლაზარე მიუშკოვიჩი. ელჩის პირით, ჩერნოგორიამ უნდა სთხოვოს რუსეთის მთავრობას, რომ ეს საკითხი, ჩერნოგორიაში შეხიზნულ ალბანელთა მდგომარეობა, რუსეთმა საერთაშორისო საკითხად აქციოს და ისე გადასწყვიტოს. მიუშკოვიჩი ეხლა პეტერბურგშია. რა არის ნამდვილი მისი დანიშნულება ვერავის გაუგია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ფალიერს, მონისს, დიუბოს და ბრისსონს მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული. მომავალ პრემიერად კაიოს ასახელებენ. უეჭველია მას ხვალ ეტყვიან კაბინეთის შედგენას. ამბობენ, რომ კაიო კაბინეთის შედგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდება, თუ რესპუბლიკანული პარტია მიუშველებსო. იმედი აქვთ, რომ დელკასსე საზღვაო მინისტრად დარჩება, პამსი მიწადმოქმედების მინისტრად. იუსტიციის მინისტრად კრიუპპს ასახელებენ, გარეშე საქმეთა მინისტრად დესელვს. კაიო შინაგან საქმეთა მინისტრად დგება.

გაზ. „ტანი" იუწყება, ისპანიას მაროკოში 50.000 ჯარის-კაცი ჰყავს და 40 მილიონის ხარჯის გაწევა შეუძლიანო, ამიტომ ტყუილი იმედია, ვითომც ისპანიამ თავი დაანებოს იმ გზას, რომელსაც ელკასარის დაჭერით დაადგაო.

**ტანჟერი.** 9 თიბათვეს მუანიე რადიო ტელეგრამით იტყობინებოდა, ფესთავი ლავანებზე და ეხლა მევინეცში მივდივარო.

**პარიზი.** პარიზსა, მარსელსა და ნანსში ფრანგმა სტუდენტებმა დიდი მიტინგები გამართეს და გერმანულ გაზეთს „სტრასბურგერ-პოსტს" პროტესტი განუცხადეს, იმ წერილის წინააღმდეგ, რომელშიაც გაზეთმა საფრანგეთის ახალგაზრდობას უზნეობა დააბრალა.

**პარიზი.** ფალიერმა კაიოს კაბინეთის შედგენის წინადადება მისცა. კაიო პასუხს ერთ დღეში გასცემს.

**ამსტერდამი.** გაფიცულ მუშათა რიცხვი 2.000-ა. კომპანიათა უმრავლესობას სამუშაო არა აქვს.

რ უ ს ე თ ი.

**რიგა.** რიგასა, დერპტსა, მიტავასა, ლიბავასა და სხვა ქალაქებში გაიმართა პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლების კრება. კრებამ განიხილა საკითხი სრულიად რუსეთის სამასწავლებლო საპენსიო კასაში შესვლისა.

**პეტერბურგი.** სამეცნიერო აკადემიამ საერთაშორისო სეისმოგრაფიულ საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე დანიშნა აკადემიკი თავ. გოლიცინი, ვილენის ოლქის მზრუნველი ლევიცკი და დერპტის უნივერსიტეტის ასტრონომი ორლოვი. დელეგატებს დაევალათ, რომ ასოციაციის წევრები, შემდეგ კრებისათვის პეტერბურგში მოიწვიონ.

**ყაზანი.** საერობო სამმართველოს მოლაპარაკება ჰქონდა გამართული, თუ როგორ დაეხმარონ ხალხს აგრონომიულ მხრივ. კრებამ გადასწყვიტა, ოფიციალური აღწერა და ინსტანციათა რიცხვი შემოკლდესო. აგრეთვე აზრი გამოითქვა, რომ საერობო აგრონომიული დახმარება სახელმწიფოებრივ დახმარებას დაუკავშირდესო.

**კრასნოიარსკი.** გუშინ სატუსაღოში ორმა ტუსაღმა ერთი ზედამხედველი მოჰკლა, მეორე დასჭრა, შემდეგ გალავანზე გადაძვრა, გაექანა იქვე მდგომ ეტლისკენ, რომელიც მათ უცდიდა. ყარაულმა ერთი მოჰკლა, მეორე კი დაიმალა.

**უფა.** გაიხსნა კურსები საეკლესიო სკოლათა მასწავლებელთათვის. საერობო სკოლების მასწავლებელნი თავისუფალ მსმენელებად იქმნენ მიღებულნი.

# წერილი რედ. მიმართ

„ნაძალადევის" სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა გულითად მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც ნაძალადევის თეატრს სხვა და სხვა ნივთები შემოსწირეს.

**სია შემომწირველთა:**

იოს. მამაცაშვილმა ფეხი ქვესტისა 1 მ., ავგ. ვას. ბოტტომ ლამფა კანტორისა 5 მ., ზაქ. ლაბაურმა დიპლიპიტო 1 მ. 20 კ., ფარდა 2 მ., ივ. შავშიშვილმა ჩოთქი საანგარიშო 50 კ., გაზი 30 კ., ნიკ. ცილიკინმა ბადე 5 მ., აფ. ნეფარიძემ დაზგა 4 მ., არჩ. ცეროძემ ორი ჩაქუჩი 1 მ., იოს. მელიქიშვილმა რევოლვერი სასროლად უვარგისი 50 კ., ალ. ბატაევმა სარკე 1 მ., მიხ. მაილოვმა ლამფა ჩამოსაკიდი 1 მ., ის. ტუაშვილმა სამწერლო მაგიდა 3 მ., ხანჯალი 3 მ., „კარნიზები" ფარდებისა 2 ც. 2 მ., გიორგ. ქორქაძემ თოფი ძველებური 5 მ., ნიკ. ფარესიშვილმა ბებუთი პრუჟინით 50 კ., კაჭარავამ „სკამეიკა" გძელი 3 მ., გრ. ჟამიეროვმა დახატა თეატრის ფარდა უფასოდ 25 მ., ბეს. დვალიძემ ლამფა ჩამოსაკიდი 1 მ., პავ. თევზაძემ 2 ცალ. განცხადება „გთხოვთ შეინახოთ ბილეთები წარმოდგენის ბოლომდის" 1 მ., გაბო გაბინაშვილმა რიგების ნომრები 40 ც. 2 მ.

**გამგეობის მდივანი ი. ფანიაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) ბათუმისაკენ: N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზ. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) საფოსტო მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) სახალხო მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 55 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) შერეული მატ. № 107, მეოთხე კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დილის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

1 ა) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად., 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატზე. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათუმიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით. ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით. მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დღით

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ჩრდილო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო-სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარეჯო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

ნ ი ხ რ ი

ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა (მეეტლებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში | 1 მ. — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სანაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის საავადმყოფო-ლომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |


# განცხადებანი

## დოქტ. ნანასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ღ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ბაგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. გარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—60)

# ქირავდება

ახლად შეკეთებული ასფალტის იატაკით დიდი და მშრალი სარდაფი რესტორანისა ან ღვინის სავაჭროდ, აგრეთვე ქირავდება ერთი ოთახი დერეფნით და წყალით, რეუტოვისა და ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩების კუთხე № 20. (1—664—1)

## გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პირობებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტექნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს **პირდაპირ ნამეცადინებსაც.**

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე, ლებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4, противъ вокзала въ Нахаловкѣ. „**შესავალი უმთავრეს კარებიდან**". (თ.—1084—20)

# გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი) ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდებათ ხელის მომწერლებს ივნისის ნომერი

ჟ უ რ ნ ა ლ

# „განათლებისა"

**შემდეგის შინაარსით:** 1. საუბარი ანუ დაკვირვებითი თვალსაჩინო სწავლება, ლ. ღვამისა. 2. ლიტერატურული შენიშვნები (მოქალაქეობრივი მოტივი ჩვენს პოეზიაში), იპ. ვართაგავასი. 3. ვილიამ ჯემსი. საუბარი ფსიხოლოგიაზე. დ. ღ—ძისა. 4. აზნაუროვი. ბავშვების დახვის მაგნეტოლოგია, კაზელაძისა. 5. დემირჭაია, (აღმოსავლეთის თქმულება), თეო კანდელაკისა. 6. სიზმარი და ნამდვილი, თ. რაზიკაშვილისა. 7. უ ვესვო მცენარე, (თარგმანი, გ. პაპიტაშვილისა. 8 მტრედი (ლექსი) ლადო გეგეჭკორისა. 9. სურათი, (ლექსი), დ. თურდოსპირელისა. 10. ვინ არის იგი? (ლექსი), ი. მ—ლისა 11. ელეგია, (ლექსი), ს. ა—მისა. 12. მთას, (ლექსი). პრანდისა. 13. ნაკადული, (თარგმანი), პ. გვარამაძისა. 14. *** (ლექსი), ლეო კ—სა. 15. სიოკაზო გიმნასტიკა, ბარდღასი. 16. ხანგრძლივი სიცოცხლე. ილ. ფერაძისა. 17. პასუხად დ. ქადაგიძეს, ეგნ. ნინოშვილისა. 18. ე. ნინოშვილის პასუხის-პასუხად, დ. ქადაგიძისა. 19. ჩვენი მომავალი ეროვნული სახალხო სკოლები, ია—სი. 20. ბათუმის ქართულ სკოლის ექსკურსია ტფილისში, რ. რამიშვილისა. (სურათით). მოწერილი ამბები. 21. წერილი გურიიდან. 22. ბიბლიოგრაფია. 22. წერილი რედაქციის მიმართ. ვარლამ იმერელისა. განცხადებანი.

**რედაქცია აცნობებს ხელის-მომწერლებს, ვისაც ფული არ გამოუგზავნია ამ ნომრიდან ჟურნალის გზავნა მოესპობათ.**

ჟურნალის ფასი წლიურად სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მან. მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе. (3—1337—2) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

**ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო". ფასი 75 კაპ.

**B a t o u-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**გ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა **ალ. შანშიაშვილის** ახალი დრამატიული პოემა

# „შვების თავადი"

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის" ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის ანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (20—1308—15)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

# სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
# ძმ. ძეგველოვების
# მ ა ღ ა ზ ი ა ს

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


სტამბა „ხორაშანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.